ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 35

"28" თებერვალი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის II ჩიხის №1-ში (საკადასტრო კოდი: №01.15.07.003.079.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის II ჩიხის №1 (საკადასტრო კოდი: №01.15.07.003.079.01.001) - ში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 19 თებერვლის №20.176.218 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის II ჩიხის №1-ში, პირველ სართულზე მდებარე 69.60 კვ.მ. ფართობის ბინა №1-ის (საკადასტრო კოდი: №01.15.07.003.079.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ლარად) პრივატიზებაზე, ლევან თოფურიძისთვის (პ/ნ 01017034739) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე